



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი



KA100151730086219

29 / მარტი / 2019 წ.

№ 2/ს

ბრძანება

„საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორის 2015 წლის 7 მაისის N22 - შ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-13 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორის 2015 წლის 7 მაისის N22 - შ ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის (შემდგომში - ფონდი) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ფონდის დირექტორის მოადგილე ნათია კობიძე.

2. ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველომ (ა. ბუხრაშვილი) უზრუნველყოს ამ ბრძანების დაინტერესებული მხარეებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

3. ეს ბრძანება ძალაშია 2019 წლის 29 მარტიდან.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: დირექტორის მოადგილის, მ. გაბიციანაშვილის 2019 წლის 29 მარტის N86/05 მოხსენებითი ბარათი.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ილემბრონულად

ირაკლი ჟორჯოლიანი

